



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მაცვალა ზარიძე

**საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტიანად
გამოყენების მიმართულებები**

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
დემურ ჩომახიძე

თბილისი
2018

შესავალი

თემის აქტუალურობა.

ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. სწორედ შიდა ენერგორესურსების, აგრეთვე ენერგიის ეფექტიანად გამოყენების დონე და ენერგოეფექტიანობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლები განაპირობებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და ამ ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო თანამეგობრობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება საქართველოსთვის, სადაც, ერთი მხრივ, ეკონომიკის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად ხორციელდება დიდძალი ენერგეტიკული რესურსების იმპორტი, მეორე მხრივ კი ადგილობრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საბოლოო გამოყენების კოეფიციენტი 45%-საც არ აღემატება ანუ არსებული ენერგორესურსების ნახევარსაც კი ვერ ვიყენებთ.

საქართველოს ეკონომიკისათვის ელექტროენერგიით საიმედო და უსაფრთხო მომარაგების პრობლემა განსაკუთრებით პრიორიტეტულია. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეკონომიკის მდგომარეობისათვის.

საქართველოს ენერგეტიკის დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ჰიდროპოტენციალის, როგორც ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი რესურსის, სიღრმისეული შესწავლა და გამოყენების შესაძლებლობების დაზუსტება, ახალი ობიექტების ოპტიმალური განთავსებისა და პარამეტრების დადგენა, წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მასშტაბებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ფორმირებაში განსაკუთრებულია ენერგოდაზოგვის როლი. ენერგიაშემცველების რაიონალურად გამოყენების მთავარი მიმართულებებია რესურსდამზოგავი ტექნოლოგიის გამოყენება, შრომის მაღალი ორგანიზაცია, დანაკარგების შემცირება. მათი რეალიზაცია

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ამასთან, ჩვენი ქვეყნისათვის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის საჭიროება, რაც დრო გადის, სულ უფრო მატულობს.

კვლევის მიზნები და ამოცანები.

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების (მილევადი და განახლებადი) პოტენციალის დაზუსტება და ანალიზი;
- საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში დარგის ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გამოკვლევა და თავისებურებების დადგენა;
- ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული სისტემის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;
- საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს ელექტრო და მთლიანად ენერგეტიკული ბალანსის ანალიზისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლების და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის წინადადებების შემუშავება;
- ამ მიზნით, ენერგოდაზოგვის როლისა და მნიშვნელობის წინ წამოწევა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერ-ეკონომისტთა გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები, სამეცნიერო შრომები, ასევე თეორიები ეკონომიკურ, სტატისტიკურ, სოციალურ მეცნიერებაში.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური ანალიზის, შედარების, შეპირისპირების, დაჯგუფების, მათემატიკური და სხვა ხერხები. ნაშრომის შესრულების პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული კვლევის თანამედროვე, ექსპერტული მეთოდები. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკის ძირითადი მეთოდი დაკვირვება, თეორია, ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზი და ა.შ.

ლიტერატურაში მითითებული მასალის ღრმა კვლევის და ანალიზის შედეგს წარმოადგენს მოცემული სადისერტაციო ნაშრომი.

ქართველი მეცნიერების ნაშრომების და სახელმძღვანელოების თეორიული კვლევის საფუძველზე მოხდა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის შინაარსობრივი საკითხების შესწავლა. ნაშრომი თავს უყრის საქართველოს ენერგეტიკული სექტორის შესახებ სამეცნიერო კვლევების, თეორიების, ეკონომიკური ციკლების და მათი გაზომვის, ანალიზის და განზოგადების საშუალებებს. გამოყენებულია ინდუქციის, დედუქციის, შედარების, ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

- დასაბუთებულია ენერგეტიკის მზარდი როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის;
- გამოკვლევულ-განალიზებულია საქართველოს ბუნებრივი, ენერგეტიკული და რესურსული პოტენციალის ათვისების შესაძლებლობათა ხარისხი. ჩამოყალიბებულია განახლენადი ენერჯის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობები და პერსპექტივები ქვეყნის ახალი ეკონომიკის მშენებლობაში;
- შეფასებულია გარდამავალ პერიოდში საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა;
- შესწავლილია ბოლო წლებში საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი;
- ჩამოყალიბებულია განახლებადი ენერჯის, პირველ რიგში, წყლის ენერჯის გამოყენების პერსპექტივები;
- ჩამოყალიბებულია ავტორისეული მიგნება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსს შეუძლია შეასრულოს ენერგორესურსების რეგიონალური დერეფნის ფუნქცია და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული ინტეგრაციის და მთლიანად ეკონომიკური განვითარების პროცესში;
- ეკონომიკურ მეცნიერებაში აქამდე არსებული აზრისგან განსხვავებით, დისერტაციაში ენერგეტიკული პოტენციალის ცნებაში შეყვანილია ქვეყანაში არსებული, მაგრამ გამოუყენებელი ენერგორესურსები. მათ შორისაა ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობისა და გაზის მილსადენებისაგან კუთვნილი ენერგორესურსები, გარდამავალ პერიოდში დაკარგული და

შემდგომ აღდგენილი პოტენციალი, ენერგოეფექტიანობის საშუალო დონეზე დაბლი მაჩვენებლების მქონე საწარმოების რესურსები და ა.შ.;

- ელექტროენერჯის წარმოების მართვის სრულყოფისათვის გამოყენებულია მათემატიკური მოდელი. მოხდა მოცემული სტატისტიკური მონაცემების აგრეგირება არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის გამოყენებით, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ჰესებში საწარმოებელი საპროგნოზო ელექტროენერჯის მოცულობა 2020-2022 წლისათვის;
- მოცემულია საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსის გაანგარიშების ავტორისეული ფორმულა;
- შემოთავაზებულია რეკომენდაციები ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების აქტიური განხორციელებისთვის.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოში ენერგეტიკული სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების პროგრამის შედგენისა და საქართველოს ენერგოსექტორში გასატარებელი რეფორმების დაგეგმვის დროს. სასარგებლო იქნება ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის, მეცნიერმუშაკებისა და დარგში დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის. ნაშრომის ძირითადი დებულებების გამოყენება შეიძლება სწავლების პროცესშიც.

პირველი თავი. “სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების, შესწავლისა და გაანალიზების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები“ შედგება 3 პარაგრაფისგან: 1.1 საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსული პოტენციალი და მისი ფორმირების წყაროები; 1.2 სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; 1.3 საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

საქართველო სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მეტ-ნაკლებად მდიდარი ქვეყანაა. იგი გარკვეული მოცულობით ფლობს ენერგო რესურსების თითქმის ყველა სახეს. საქართველოს გააჩნია ნახშირი,

ტორფი, ნავთობი, გაზი, ჰიდრორესურსები, თერმული წყალი, ქარის და მზის ენერჯია და სხვა. მათგან ყველაზე წონადი რესურსია ჰიდროენერჯია.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ანუ წყლის ენერჯია განეკუთვნება განახლებად ენერგორესურსებს. ფართობის ერთეულზე მოსული წყლის ენერჯიის მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, მაგრამ მისი გამოყენების დონით საგრძნობლად ჩამორჩება საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოში ათვისებულია ჰიდროენერგორესურსების მხოლოდ 9-10%, ეს მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი საფრანგეთში შეადგენს 90%-ს, იაპონიაში - 64%, გერმანიაში - 76% და ა.შ.

საქართველოს ტერიტორიაზე დღესდღეობით ოფიციალურად აღრიცხულია ნავთობის ჩვიდმეტი და გაზის სამი საბადო.

მიუხედავად ქართული ნავთობის არც ისე დიდი პოტენციალისა, ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ნავთობსადენების თვალსაზრისით. საქართველოში ნავთობის ტრანსპორტირება ორი ნავთობსადენით - ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენით (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენით (WREP) ხორციელდება.

კვლევის პროცესში ეკონომიკური ლიტერატურის და სამეცნიერო შრომების ანალიზმა დაგვანახა, რომ ნავთობის აღნაშენი რესურსი არასათანადოდ არის შეფასებული. არსად არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ მილსადენებიდან მიღებული მარაგი მიჩნეულ უნდა იქნეს ქვეყნის ენერგეტიკულ რესურსად.

ჩვენი აზრით, საქართველოში გამავალი ნავთობსადენებიდან და გაზსადენიდან მიღებული რესურსული მარაგები შეტანილ უნდა იქნას ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ პოტენციალში, რაც თავის მხრივ რამდენადმე გაზრდის ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს.

მზის ენერჯია - საქართველოში საკმაოდ პერსპექტიულია მზის ენერჯიის გამოყენება. ქვეყნის უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია და იგი 200-250 დღეს შეადგენს, რაც დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით 1900-2000 საათია წელიწადში. ზაფხულში მზის ნათების მრავალწლიური საშუალო პერიოდი თვეში 225-300 საათია, ხოლო ზამთარში - 60-75 სთ.

ქარის ენერჯია - საქართველოს გააჩნია ქარის ენერჯიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერჯიის საშუალო წლიური გამომუშავება საორიენტაციოდ 4 მლრდ. კვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული. ქარის

ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად, სადაც ქარის სიჩქარე წელიწადში 2,5 მ/წმ-დან 9,0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა წელიწადში 4000-5000 სთ შეადგენს. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

ენერგეტიკის სამინისტრომ „საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდთან“ ერთად ახალი 20 მგვტ. ქარის სადგურების მშენებლობა დაიწყო, რაც ენერგოსისტემას დამატებით 300 მგვტ. განვითარების პერსპექტივას მისცემს. გორის მიმდებარედ უკვე დაიდგა ქარის სიმძლავრის გამზომველი აპარატურა. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ პირველი საპილოტე პროექტია, რომელიც სახელმწიფო სახსრებით საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ იქნა დაფინანსებული და საინვესტიციოს ღირებულებამ 31,23 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გეოთერმული ენერგია - საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანახმად გეოთერმული წყლების პროგნოზული მარაგები 200÷250 მლნ. მ³-ს აღწევს წელიწადში. დღეისათვის გეოთერმული რესურსების წილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შეადგენს მხოლოდ 1,5%, მაგრამ გეოთერმული წყლების კომპლექსურად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ეს მაჩვენებელი 2018 წლისათვის გაიზარდოს 3,6%-მდე, ხოლო პერსპექტიული - 2020 წლისათვის - 5,6%-მდე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თერმული წყალი 100%-ით გამოიყენება დღეისათვის მხოლოდ თბილისის საბადოზე.

სამომავლო პერსპექტივებისა და პროგნოზების განსაზღვრამდე მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს განვითარების თავისებურებანი, რომლითაც ხასიათდებოდა საქართველოს ენერგოსისტემა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების ფართო მშენებლობა.

თუ 1960 წლიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკა, ძირითადად, ჰიდროელექტროსადგურების ათვისების ხარჯზე ვითარდებოდა, მომდევნო წლებში სურათი შეიცვალა - ენერგოსისტემაში წამყვანი ადგილი დაიკავა თბოელექტროსადგურებმა. ეს მოხდა 1965 წელს. ამ დროს მათზე მოდიოდა დადგმული სიმძლავრის 50,9% და

ელექტროენერჯის გამომუშავების 53,8%. 1970 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში ელექტრობალანსი დადებითი იყო და მოხდა ელექტროენერჯის ექსპორტი.

კვლევამ აჩვენა თუ რამდენად სერიოზული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძვრები მოხდა საქართველოს ელექტროენერჯეტიკის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე. აღნიშნულ პერიოდში ელექტროსადგურების სიმძლავრეები 4,6-ჯერ, ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება კი 3,8-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს ენერჯეტიკის არასაკმარისი განვითარება ცხადია, ნეგატიურად აისახა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრების დონის მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ენერჯეტიკულად შედარებით უკეთ უზრუნველყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში.

საქართველოში, გარდა იმისა, რომ შეეყოვნა ახალი ელექტროსადგურების ამოქმედება, იმავე წლებში გაუარესდა არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების დონეც. შემცირდა დადგმული საშუალოწლიური სიმძლავრის გამოყენების საათების რაოდენობა.

2003 წლისათვის საქართველოს ენერჯეტიკული სექტორი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებებით: ქვეყანა განიცდიდა ელექტროენერჯის დეფიციტს, მოუქნელი იყო ელექტროენერჯის ამოღების სისტემა, ხშირი იყო ავარიები ენერგოგენერაციის ობიექტებზე და ელექტროენერჯის შემოტანა მეზობელი ქვეყნიდან ხორციელდებოდა, აღნიშნული ფაქტი კი თავის მხრივ ენერგოსექტორში არსებულ კორუფციასთან ერთად კიდევ უფრო ზრდიდა ქვეყნის საგარეო თუ საშინაო ვალებს.

2003 წლის რეფორმატორულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, ტემპები და მასშტაბები. ამავე პერიოდიდან იწყება ქვეყნის ენერგოსექტორის აქტიური რეაბილიტაცია.

ენერჯეტიკის დარგის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით გატარდა ქმედითი ღონისძიებები. აქტიურად დაიწყო მოსახლეობის კომუნალური გამრიცხველიანება, შემცირდა მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებში ელექტროენერჯის ტექნიკური დანაკარგების დონე. 2007 წელს საქართველომ უკანასკნელ ათწლეულში პირველად შეძლო ჰქონოდა დადებითი ელექტრობალანსი.

მიერე თავი. „საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობა“ წარმოდგენილია 3 პარაგრაფით: 2.1 სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების შეფასება 2005-2015 წლებში; 2.2 საქართველოს ელექტრობალანსი; 2.3 საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები და რესტრუქტურისაციის პროცესები. ენერგეტიკა გახდა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი. 2015 წელს ჩამოყალიბდა ენერგეტიკის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამთავრობო სამოქმედო პროგრამა.

ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოების ზრდასთან ერთად, თანდათანობით შემცირდა ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტსა და თბოგენერაციაზე. 2017 წლის განმავლობაში ჰესების მიერ გენერირებული ენერჯის მოცულობამ 9210,4 მლნ კვტ.სთ-ს მიაღწია. აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია, როგორც ჰიდროლოგიური პირობების ცვლილებით, ასევე არსებული ჰესების რეაბილიტაციით.

2005-2015 წლებში ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 2011-2013 წლებში გაზრდილი შიდა მოხმარების გამო, ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობა შემცირდა, და 2013 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ექსპორტმა სულ 0.45 მილიარდი კვტსთ შეადგინა, რაც 2012 წლის შესაბამისი მაჩვენებლის 15%-იან კლებას წარმოადგენს.

გაზის სექტორის განვითარების თვალსაზრისით, 2005-2015 წლების განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის შიდა მაგისტრალური გაზსადენების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები. საქართველოში დღეისათვის გაზის მოპოვებითი სამუშაოები მცირე რაოდენობით ხორციელდება. 2009-2013 წლებში გაზის წლიური მოპოვება, საშუალოდ 16.5 მლნ. კუბ.მ იყო. სულ საქართველოში მოპოვებულია 2.8 მლრდ. კუბ.მ. გაზი, საიდანაც თავისუფალი გაზის რაოდენობა 552.8 მლნ. კუბ.მ-ს შეადგენს.

საქართველოში ნახშირის მოპოვებელი ერთადერთი კომპანიაა „საქნახშირი“. კომპანია ახორციელებს ისეთ ოპერაციებს როგორცაა ნახშირის მოპოვება, ნახშირის ტრანსპორტირება და ნახშირის გამდიდრება, და ასევე ელექტროენერჯის გენერაცია. ნახშირის გარანტირებული სტაბილური ხარისხის შესანარჩუნებლად, 2009 წელს საქნახშირმა ააშენა ნახშირის გადამამუშავებელი და

გამამდიდრებელი ქარხანა თანამედროვე აღჭურვილობით. 2015 წელს ამოქმედდა 13 მვტ-იანი ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური. ამჟამად ნახშირის ყოველწლიური გაამოშვებ დაახლოებით 350,000 ტონაა.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია იკვეთება 2007 წლიდან, როდესაც ინვესტიციების მოცულობამ 362 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო 2009 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის 2000-2017 წლების განვითარების შეფასების შედეგად ნათელი გახდა, რომ ქვეყანას გააჩნია საკმარისი ენერგეტიკული პოტენციალი ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული პოტენციალის არასათანადოდ გამოყენების გამო საქართველო ძლიერად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ენერგიაზე, რაც არასახარბიელო მდგომარეობაა.

სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკაში პოზიტიური ძვრები სახეზეა 2005 წლის შემდგომ პერიოდში. ამ დროიდან მოყოლებული ელექტროენერჯის წარმოება ყოველწლიურად მატულობს და 2009 წელს მან 8278 მლნ.კვტ.სთ-ს მიაღწია. 2005 წელთან შედარებით ეს ზრდა 15,9%-ს შეადგენს, შესაბამისად, შემცირდა იმპორტის მოცულობა 5,5-ჯერ და გაიზარდა ექსპორტი 6,2-ჯერ, თუ 2005 წელს ელექტროენერჯის საერთო მოხმარებაში იმპორტის წილი 16,7%-ს შეადგენდა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 3,3%-მდე, ანუ 5-ჯერ და მეტად შემცირდა. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ელექტროენერჯის ბალანსში უკვე სიჭარბეა. აღნიშნული ტენდენცია 2007 წლიდან დაფიქსირდა და მან 2009 წელს თითქმის 500 მლნ.კვტ.სთ-ს მიაღწია. ამ პროცესში თავისი დადებითი როლი შეასრულა ელექტროენერჯის მომჭირნე და რაციონალურმა გამოყენებამ. ამ ფაქტორის გავლენით 2005-2009 წლებში ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარება 7,1%-ით შემცირდა. შემდგომ პერიოდში ელექტროენერჯის წარმოების რეკორდული დონე პირველად აღინიშნა 2010-2011 წლებში - თითქმის 10 მლრდ კვტ.სთ. 2010 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა 9919 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც მოხმარებასთან შედარებით 1477 მლნ.კვტ.სთ-ით მეტია.

2015 წლის იანვარში, ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოება ჩამოუვარდება (166 მლნ.კვტ.სთ) მოხმარებას. ამ პერიოდში უარყოფითი ენერგობალანსის დასაფარად მოხდა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთიდან (114.8 მლნ. კვტ.სთ) და აზერბაიჯანიდან (51.2 მლნ.კვტ.სთ).

ჩვენი აზრით, მომავალში საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ინტერესები მოითხოვს ელექტროენერგეტიკული ბალანსის შემდგომი სრულყოფა მოხდეს უპირატესად ადგილობრივი რესურსების გაზრდის გზით. ელექტრობალანსის სრულყოფის თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეასრულოს ენერგოეფექტიანობის ამაღლებამ. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მომავალში, საჭირო მასშტაბებით განვითარების პირობებში, მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან არის დაკავშირებული, რომლის დასაკმაყოფილებლადაც საქართველოში ან ახალი გენერაციის ობიექტები უნდა ამენდეს ან ელექტროენერჯის იმპორტი უნდა გაიზარდოს.

პერსპექტივისათვის ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგეტიკის განვითარების ძირითადი ამოცანაა, რაც შეიძლება მოკლე დროში დამლუელი იქნეს ელექტრიფიკაციის მაჩვენებლების დონით ჩამორჩენა და მიღწეულ იქნეს ეკონომიკის განვითარებასთან შედარებით ენერგეტიკული ბაზის წინგამსწრები ტემპით განვითარება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული რესურსების საკმაოდ მაღალი გამოყენებული პოტენციალი გააჩნია. ქვეყანა ელექტროენერგიაზე მოთხოვნის 70%-ს იკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოებით, ხოლო 30%-ის იმპორტს ახორციელებს მეზობელი ქვეყნებიდან, მაშინ, როცა ჰიდრორესურსების დიდი ნაწილის აუთვისებელ მდგომარეობაშია.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ელექტროენერგეტიკული ბალანსის სტაბილურობისათვის საჭიროა, გატარდეს ქმედითი ღონისძიებები რათა, მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალი.

საქართველოში ენერგეტიკული რესურსების წარმოება 2004-2016 წლებში გაიზარდა 41,3%-ით, ხოლო შიდა მიწოდება და საბოლოო მოხმარება - 85,1%-ით. ამასთან, 9,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საერთო მიწოდებაში ადგილობრივი რესურსების წილი (40,1%-დან 30,6%-მდე). ადგილობრივი წარმოება 2013-2016 წლებში შემცირდა ქვანახშირის, ნედლი ნავთობის, ბიოსაწვავის და ნარჩენების მიხედვით, ხოლო გაიზარდა ბუნებრივი გაზის, ჰიდროენერჯის, გეოთერმული, მზის და ა.შ. ენერჯის მიხედვით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც იმპორტის (81,4%-ით), ისე ექსპორტის (44,2%-ით) რაოდენობა. 2014 წელს იმპორტის წილმა 72,1% შეადგინა ენერგორესურსების მთლიან შიდა მიწოდებაში. საქართველოდან ძირითადად ხორციელდება ჰიდროენერჯის ექსპორტი გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში. დიდი რაოდენობით იმპორტი ხდება საქართველოში ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების სახით. მათი სიდიდე ფაქტობრივად ქვეყნის მთლიან მოხმარებას უტოლდება. 2014 წელს მათ შემოტანაზე დაიხარჯა 1276,4 ათ. აშშ დოლარი.

როგორც კვლევისას გამოიკვეთა, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურამ. თითქმის ყველა სახის ენერგიაშემცველზე ქვეყნის მოთხოვნილება ძირითადად იმპორტით კმაყოფილდება, თუმცა ეს არ ეხება ელექტროენერჯიას. პირიქით, ელექტროენერჯის მოხმარება საყოფაცხოვრებო და კომუნალურ სექტორში ხელსაყრელი საშუალებაა საოჯახო ენერგეტიკული კალათის დასაბალანსებლად. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსი ბოლო პერიოდში უდევციტაა. საქართველოს ელექტროენერჯის გარკვეული ნაწილი ექსპორტზეც გააქვს.

მესამე თავი. „სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლების მიმართულებები“ შედგება 4 პარაგრაფისგან: 3.1 ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები; 3.2 სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებები; 3.3 ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის წარმოების მოცულობის განსაზღვრის მათემატიკური მოდელი; 3.4 ენერგოდაზოგვა - ენერგეტიკული პოტენციალის გაუმჯობესების აუცილებელი პირობა.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავისთავად გულისხმობს ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევას, ქვეყნის საკუთარი ენერგორესურსების გონივრულ ათვისებასა და ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას. ენერგეტიკული უსაფრთხოება ხელს უწყობდეს სახელმწიფოს ეკონომიკური და ეროვნული ინტერესების რეალიზაციას, აგრეთვე ეკონომიკის, როგორც საბაზრო, ასევე სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებას, საბაზრო კონკურენტული მექანიზმის დამკვიდრებას.

ჩვენი აზრით, ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, საჭიროებს იაფ

ენერგეტიკულ რესურსებს მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს იმპორტულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებით, ახალი, ენერგიადამზოგავი და განახლებადი რესურსების ათვისებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით, სექტორის სტრუქტურის შემდგომი მოდერნიზაციით, ბაზრის ლიბერალიზაციითა და რეგიონალურ სტრუქტურებში ინტეგრაციით.

ქვეყანაში ენერგეტიკულ უსაფრთხოების მიღწევისათვის მეტად აქტუალურია ჰიდროელექტროსადგურებში წყლის მარაგის შექმნა და მისი ხარჯვის რეჟიმზე სისტემური კონტროლის დაწესება. ასევე უნდა გატარდეს ღონისძიებები პირველადი სათბობი მარაგის შესაქმნელად. ეს სამუშაო უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით: პირველი, თბოელექტროსადგურებში შეიქმნას თხევადი სათბობის სარეზერვო მარაგი, ხოლო ბუნებრივი გაზის მილსადენებში აკუმულირებულ იქნეს გაზის გარკვეული ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში სასიცოცხლო ობიექტების უზრუნველსაყოფად.

კვლევის პროცესმა გვიჩვენა, თუ რამდენად აუცილებელია ამოქმედდეს ეკონომიკურად და ეკოლოგიურად დასაბუთებული ახალი თბო და ჰიდროსიმძლავრეები. თბოსიმძლავრებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანას იაფი ელექტროენერგიით. ეს შეეხება როგორც მსხვილი და საშუალო ზომის სადგურებს, ისე მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურებს.

მცირე ჰესებზე გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ შეიძლება დააკმაყოფილოს ამ რაიონების სასიცოცხლო მნიშვნელობის ისეთი ობიექტების მოთხოვნილება, როგორებიცაა: საავადმყოფოები, პურის საცხობები, წყალსადენები, ტრანსპორტის ობიექტები, სკოლები და სხვ. მცირე ჰესები გაცილებით იაფად შეიძლება მოეწყოს არსებულ საირგაციო სისტემებზე. ასეთი წყალსაცავები და არხები განსაკუთრებით ბევრია კახეთში. საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობა უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად და სათანადო პროექტებით, დაცული უნდა იყოს ეკოლოგიური და სხვა ტექნიკური მოთხოვნები. თითოეული ასეთი ჰესის მშენებლობას დასჭირდება 2-3 წელი და იგი ფასდაუდებელი წვლილი იქნება ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ჭარბი სეზონური და პიკური ელექტროენერგია საქართველოს ყოველთვის შეედლება მისთვის ხელსაყრელ ფასებში მიჰყიდოს მეზობელ სახელმწიფოებს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც ამჟამად საქართველოს ჰიდროენერგეტიკა დგას: საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დაზუსტება; სეზონური რეგულირების წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ზამთარში დეფიციტური ელექტროენერჯის გამომუშავების გაზრდა; შეძლებისდაგვარად, ჰიდროაკუმულირებული ელექტროსადგურების კომპლექსების მოწყობა; ადგილობრივი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად ეფექტიანი ნაწილის სრულმასშტაბიანი ათვისება.

საქართველოს ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ნავთობმოპოვების ზრდას და განმომარაგების გაუმჯობესებას. ნავთობმოპოვების აღმავლობა საქართველოში მთლიანად დაკავშირებულია ნავთობის ახალი მარაგების შემდგომ გამოვლენასთან. ამასთან, უნდა გაუმჯობესდეს მისი მოპოვების ტექნოლოგია იმ ვარაუდით, რომ საბოლოოდ ამაღლდეს ნავთობის გამოსავალი, დაინერგოს ახალი მეთოდები, მათ შორის ძველ, მცირედებეტიან სარეწებში ნავთობის ფენაზე თერმული ზემოქმედებისათვის. ახალი საბადოების აღმოჩენა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ნავთობის მარაგის კვლავწარმოების ძირითად ბერკეტს.

ნავთობმოპოვება ენერგეტიკის ერთ-ერთი ყველაზე კაპიტალტევადი დარგია და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ არსებული სახსრების რაციონალურად გამოყენებას, დარგში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ჭაბურღილების ბურღვის სიღრმის გადიდებასა და პირობების გართულებასთან დაკავშირებით, აუცილებელია საბურღ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღება და ჭაბურღილების მშენებლობაში პროგრესული ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა.

საჭიროა გაგრძელდეს სამუშაოები საქართველოში სამრეწველო მნიშვნელობის ბუნებრივი გაზის საბადოთა აღმოჩენისათვის. ამ მხრივ სამუშაოთა გაძლიერების საფუძველზე, შესაძლებელია აღნიშნული ამოცანის დადებითად გადაწყვეტა.

ნავთობის მრეწველობიდან უფრო მეტი ეკონომიკური ეფექტის მიღება შესაძლებელია, თუ მოხდება არა ნედლი ნავთობის, არამედ ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზება. შეიძლება ითქვას, რომ დათვლილი პოტენციური რესურსებიდან გამომდინარე, საქართველოში თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი დაახლოებით მილიარდი

ტონა ნავთობის მოპოვება, რომლის ღირებულება რამდენიმე ასეულობით მილიარდ დოლარს შეადგენს. ამასთანავე, აუცილებელი იქნება ნავთობგადამამუშავებელი და მცირეტონაჟიანი ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, და, შესაბამისად, ერთიორად გაიზრდება ნავთობისა და გაზის მრეწველობიდან მიღებული შემოსავლები. ეს ძლიერ იმპულსს მისცემს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაზის სახელმწიფო რეზერვების შექმნას. მიღებულია, რომ ქვეყანას ასეთი რეზერვი წლიური მოთხოვნილების დაახლოებით 20-30%-ის მოცულობით უნდა გააჩნდეს. გაზის შენახვის ყველაზე რენტაბელურ და პოპულარულ საშუალებას კი წარმოადგენს მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნა ნავთობისა და გაზის გამომუშავებულ საბადოებში. მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხი, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. საქართველოში პირველი გაზსაცავის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი დასრულებულია.

გაზის მიწისქვეშა საცავის პროექტის სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2018 წლის დასაწყისში, დასრულება კი 2020 წლისთვის იგეგმება, ანუ იმ პერიოდისთვის, როდესაც საქართველოს მიერ შაჰდენიზის (სამხრეთ კავკასიის, ან ბაქო-თბილისი-ერზრუმის) გაზსადენიდან მისაღები გაზის მოცულობების ზრდას ელოდებიან. გაზსაცავის მშენებლობის დასრულების შემდეგ მასში 210-280 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი, რაც დღევანდელი მთლიანი წლიური მოხმარების დაახლოებით 15%-ს შეადგენს.

საქართველოში ნახშირის წარმოების განვითარების სამუშაოები მიმართულებით უნდა გაიშალოს. კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაიწყოს ნახშირის საბადოების კომპლექსურად ათვისება, თანდათანობით მომზადდეს ეროვნული მეურნეობის დარგები ნახშირის გამოყენებისათვის და ნახშირის ბრიკეტების წარმოების გადიდებით შეიქმნას რეალური რესურსები. ამ დარგის განვითარებისათვის ზრუნვა ერთ-ერთი საიმედო გზაა ქვეყნის გარე მიწოდებისაგან დამოუკიდებელი ენერგეტიკული ბაზის შესაქმნელად და ენერგეტიკული უსაფრთხოების მისაღწევად.

ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებაში პრიორიტეტული როლი ეკუთვნის ადგილობრივ რესურსებს. კერძოდ, დიდი სიკეთე შეიძლება მივიღოთ ეკონომიკაში ენერჯის ადგილობრივი არატრადიციული სახეების გამოყენების გაფართოებით. საქართველოს კი ამის გამოყენების საუკეთესო პირობები აქვს.

მათემატიკური მეთოდები და მოდელები იძლევა ამოცანათა მრავალვარიანტული გადაწყვეტის საშუალებას, საიდანაც არჩეული კრიტერიუმის საფუძველზე შესაძლებელი ხდება საუკეთესო ვარიანტის პოვნა. ასეთი მოდელების დამუშავების საშუალებას იძლევა გამოყენებითი მათემატიკის ისეთი დარგები, როგორცაა: მათემატიკური პროგრამირება, თამაშების თეორია, სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორია, გრაფების თეორია, ქსელური ანალიზი და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ელექტროენერჯის წარმოებაზე მოქმედი პარამეტრების განსაზღვრა და მათი რიცხობრივი სიდიდეების დადგენა.

პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრის წინაპირობას წარმოადგენს მათემატიკური მოდელი. მისი პროგნოზირებისათვის საჭიროა პირველ რიგში განისაზღვროს ფაქტორთა ის ჯგუფი, რომლებიც ყველაზე მეტად ახასიათებენ ძირითად მხარეებს, მის არსს, რაოდენობრივ და ხარისხობრივ სიდიდეს.

ელექტროენერჯის წარმოების მათემატიკური მოდელირებისა და ანალიზის დროს საჭიროა ამორჩეული ფაქტორების მოქმედების ხარისხის გამოვლენა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის პროგნოზირების განსაზღვრის ყველაზე კარგი მეთოდია მრავალფაქტორული ანალიზი, რომელიც ხორციელდება კორელაციური და რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. ამ დროს მოთხოვნის მოდელი წარმოადგენს ფუნქციას, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი (ფუნქცია) არის მოთხოვნა, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები (არგუმენტი) – მასზე მოქმედი ყველა ფაქტორი, რომელიც ზოგადი სახით ასე გამოისახება:

$$y = f(x_1, x_2, \dots, x_n),$$
 სადაც n არჩეული ფაქტორების რაოდენობაა.

მას შემდეგ, როცა განსაზღვრულია საძებნი პარამეტრის და მასზე მოქმედ თითოეულ ფაქტორს შორის მათემატიკური დამოკიდებულების ფუნქციები, საჭიროა განისაზღვროს ამ ფუნქციათა რიცხვითი პარამეტრები. აქ ჩვენ გამოვიყენებთ ისეთ ნაცად ხერხს, როგორცაა უმცირეს კვადრატთა მეთოდი.

მიღებულ გაანგარიშებათა შედეგად და მოდელის რეალურ ინფორმაციაზე შემოწმებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი საბოლოო სახე. აღნიშნული მოდელით მიღებული შედეგები წარმოადგენს საწყის ინფორმაციას წარმოების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრისათვის. ნაშრომში (პირველად) გამოვიყენებულა მათემატიკის შედარებით ახალ მიმართულება - არამკაფიო სიმრავლეების თეორია. ჩვენი აზრით, მოცემული სტატისტიკური მონაცემების აგრეგირება არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის გამოყენებით ეფექტიან შედეგს მოგვცატანს.

დევაზიკაციის გზით მივიღეთ, რომ ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერჯის წარმოება მოსალოდნელია შემდეგი სიდიდეებით (კვტ.სთ):

2020	2021	2022
$\tilde{y} \ 13.9E+10$	$1.47E+10$	$16.8E+10$

მათემატიკური მოდელის აგებისა და გადაწყვეტის შემდეგ ჩატარდა მიღებული შედეგების ეკონომიკური ანალიზი, რათა მოხდეს დარგში არსებული რეზერვების გამოაშკარავება.

საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების ათწლიან პროგნოზს აკეთებს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაც“, რომელიც მოცემულია ოფიციალურ დოკუმენტში „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2018-2028“. აღნიშნული საპროგნოზო გეგმა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში მომზადდა 2017 წელს.

კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ მიღებული საპროგნოზო შედეგები საკმაოდ გაბედულად შეიძლება ჩაითვალოს, იქედან გამომდინარე, რომ 2026-2027 წლამდე არ იგეგმება დამატებითი სიძლავრეების ამოქმედება და ახალი ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაცია, რაც ცალსახად გაზრდიდა ჰესებში ელექტროენერჯის საპროგნოზო წარმოების მოცულობას.

2020 წლისათვის ჩვენს მიერ მიღებული ელექტროენერჯის წარმოების საპროგნოზო მაჩვენებელი განსხვავდება ოფიციალური მონაცემისგან. ჩვენს მიერ, 2020 წლისათვის ნავარაუდევია 1,5 მლრდ.კვტ.სთ-ით მეტი (10.7%-ით მეტი) ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია. ასეთი განსხვავების მიზეზად შესაძლოა დავასახელოთ „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემის“ მიერ დარგში არსებული რეზერვების არასათანადოდ გათვალისწინება.

თუკი მოვახდენთ ჩვენს მიერ 2021-2022 წლისთვის მიღებულ საპროგნოზო მაჩვენებლის შედარებას „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაკეთებულ იგივე მაჩვენებელთან დავინახავთ, რომ 2021 წელს ნახევარი მლრდ.კვტ.სთ-მდე (2,6%-ით მეტი), ხოლო 2022 წელს 1 მლრდ.კვტ.სთ-ზე მეტი (6%-ით მეტი) ელექტროენერჯის წარმოებაა ნავარაუდები ჩვენი პროგნოზისგან განსხვავებით. ასეთ გაზრდილი მაჩვენებლის გაჟღერებისას, მათი მხრიდან, გასათვალისწინებელია ბუნებაზე ზემოქმედების ეკოლოგიური ასპექტები, რომლების ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია რჩება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში.

ჩვენს მიერ ჩატარებული ეკონომიკურ-მათემატიკური გათვლებით 2022 წლისათვის ჰიდროელექტროსადგურებში ნავარაუდებია 16,8 მლრდ.კვტ.სთ ელექტროენერჯის წარმოება, ხოლო ამავე წელს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საპროგნოზო ბალანსში მოხმარება შეადგენს 15,08 მლრდ.კვტ.სთ. აღნიშნული მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოცემული პერიოდისთვის ქვეყნის ელექტრობალანსი უდევციტო იქნება და შესაძლებელია მილიარდ კვტ.სთ-მდე ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანა.

მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოების გაზრდილი მაჩვენებელი სათანადოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

ენერგოდაზოგვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. განსაკუთრებით მწვავეა იგი საქართველოსთვის. ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა ენერგორესურსებით მდიდარი არ არის და საკუთარი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად დიდძალი რესურსების იმპორტირება უხდება ეს არის მოხმარებული ბუნებრივი გაზის მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილი. შორეული გადაზიდვები კი, რაც არ უნდა რაციონალური იყოს, მძიმე ტვირთად აწვება თითოეულ საწარმოსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას.

ენერგოეფექტიან ტექნოლოგიებში ინვესტირება მნიშვნელოვანი რაოდენობის ენერჯის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა, ეს

დაზოგილი ენერგია შეიძლება აჭარბებს ბევრი სადგურის მიერ წარმოებული ენერგიის რაოდენობასაც. ენერგოეფექტურობა წამყვან როლს თამაშობს წიაღისეული საწვავის ჩანაცვლებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები ზოგავს მომხმარებლის ფინანსურ რესურსებს, ამცირებს რა მოხმარებული ენერგიის რაოდენობას და შესაბამისად, ამ ენერგიის ჯამურ ღირებულებას. ამავდროულად, ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და მიღებული დანაზოგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თავისი წვლილი შეაქვს ასევე სამუშაო ადგილების შექმნაში და წარმოადგენს ინოვაციების განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან საფუძველს, რადგან თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წინაპირობა აქამდე არარსებული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარებაა.

ჩვენი აზრით, ენერგოეფექტურობაში ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გარემოს დაცვას უკავშირდება. დაზოგილი ენერგია გარემოს დაბინძურების შემცირების წინაპირობაა, რადგან, როგორც ცნობილია, წიაღისეული ენერგეტიკული რესურსის გამოყენებას თან ახლავს მავნე ნივთიერებების გაფრქვევა (სათბური გაზების ემისია) როგორც საყოფაცხოვრებო და კომერციულ, ასევე ტრანსპორტის სექტორში. ენერგოეფექტურობა ზრდის ენერგეტიკული უსაფრთხოების დონესაც, ამცირებს რა გარე დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგიაზე და ბოლოს, კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, ენერგოეფექტურობა აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

როგორც ამ საკითხის კვლევამ გვიჩვენა, საქართველოში ენერგოეფექტიანობის დანერგვა, ძირითადად, სტიქიურად, მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით ხორციელდება. პრაქტიკაში შემოდის შენობების დათბუნება, ენერგოეფექტური ნათურების და სხვა საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გამოყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის და სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე ეს პროცესი ძალიან ნელა ვითარდება.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებას, რადგან წიაღისეული ენერგორესურსების ამოწურვისა და მათზე ფასების ზრდის გამო ეკონომიკური განვითარების შეფერხება

არ მოხდეს. ამისათვის დამატებით კანონებსა და რეგულაციებს იღებენ, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მსგავსი პრაქტიკა ჯერ არ გაგვაჩნია.

ენერგოეფექტიანობის დანერგვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში წარმოადგენს ენერგოეფექტიანობის მნიშვნელობის სამთავრობო ხედვის არასათანადო არსებობა, რაც რეგიონში და მეტნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შექმნას კანონები, ქმედითი ინსტიტუტები, ფინანსური მექანიზმები, სამოქმედო გეგმა და მისი მონიტორინგის სისტემა, უზრუნველყოს თავისუფალი საბაზრო გარემო ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის. უპირველესად, კი - შეიმუშაოს ენერგოეფექტიანობის სახელმწიფო პოლიტიკა რომელიც ზოგად ჩარჩოს დასახავს ყველა ამ ღონისძიების დაგეგმვისათვის. ამ საქმეში ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული მიმდინარე და მომავალი დონორული პროექტები და საერთაშორისო დახმარება რაც შეიძლება მიღებულ იქნას კლიმატის ფონდის მეშვეობით.

რეკომენდაციის სახით გვინდა ავღნიშნოთ, რომ პროცესის დადებითად წარმართვისათვის ხელის შეწყობი იქნებოდა ასევე ტრენინგებისა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება ენერგოაუდიტორების, მენეჯერების, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებისა თუ სერვისის პროვაიდერებისათვის. აუცილებელია, ასევე, საინფორმაციო კამპანიების წარმართვა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებისთვის ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობისა და ენერჯის დაზოგვის ღონისძიებების შესახებ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგოეფექტიანობის დანერგვა აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.

ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოდაზოგვის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა. საექსპერტო გათვლებით, ენერგოეფექტიანობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით ერთი მეოთხედის ტოლია. ამდენად, იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად. საქართველოში როგორც მრეწველობაში, ისე საყოფაცხოვრებო სექტორში, ბოლო წლებში მართალია უფრო ფართოდ ინერგება თანამედროვე ენერგოამზოვავი ტექნოლოგიები, მაგრამ მათი გამოყენების დონე ჯერჯერობით მაინც არასახარბიელოა. ჩვენი ქვეყნისთვის ენერგორესურსების დაზოგვის საკვანძო მიმართულებებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის

დაჩქარება ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში; ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა; ენერჯის არატრადიციული (მზის, ქარის ენერჯია, თერმული წყლები, ბიომასა, მეორადი ენერგორესურსები და სხვა) სახეობებისა და მცირე მდინარეთა ენერჯის გამოყენების გაფართოება; ენერგოდაზოგვაში სამეურნეო მენეჯმენტისა და მექანიზმის სრულყოფა.

დასკვნა

1. დღეისათვის, ენერგეტიკა გახდა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი და დიდი ძალისხმევის შედეგად, მოგვარებული იქნა ძირეული პრობლემების დიდი ნაწილი, მაგრამ კვლავ საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება ენერგოდამოუკიდებლობის გზაზე, საკუთარი ენერჯიაზე დამოკიდებულების ეფექტიანად ათვისების, მათი მოძიების დივერსიფიკაციისათვის და, რაც ყველაზე მთავარია, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. საქართველოს ელექტროენერგეტიკაში გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა - საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება - წარმატებით ხორციელდება.
2. კვლევისას დადგინდა, რომ მომავალში საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ინტერესები მოითხოვს ენერგეტიკული ბალანსის შემდგომი სრულყოფა მოხდეს უპირატესად ადგილობრივი რესურსების გაზრდის გზით. ენერგეტიკული ბალანსის სრულყოფის თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეასრულოს ენერგოეფექტიანობის ამაღლებამ. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მომავალში, საჭირო მასშტაბებით განვითარების პირობებში, მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში.
3. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ენერგეტიკული რესურსების საკმაოდ მაღალი გამოუყენებელი პოტენციალი გააჩნია. ქვეყანა ენერჯიაზე მოთხოვნის დაახლოებით 25%-ს იკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოებით, ხოლო 75%-ის იმპორტს ახორციელებს მეზობელი ქვეყნებიდან, მაშინ, როცა ჰიდრო და სხვა რესურსების დიდი ნაწილის აუთვისებელ მდგომარეობაშია.

4. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენებით ჩატარებულია ელექტროენერჯის წარმოების მრავალფაქტორული ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ მოქმედებს ფაქტორის ერთი ერთეულით ცვლილება წარმოების მოცულობაზე.
5. ელექტროენერჯის წარმოების (გამომუშავების) მართვის ოპტიმიზაციის მიზნით გამოყენებულია მეცნიერულად დასაბუთებული მართვის მათემატიკური მეთოდები. გამოყენებულია მრავალფაქტორული ანალიზის მეთოდი, რომელიც ხორციელდება კორელაციური და რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. ამორჩეულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობის განსაზღვრაზე. ნაშრომში გამოვიყენებულა მათემატიკის შედარებით ახალ მიმართულება - არამკაფიო სიმრავლეების თეორია. დამუშავებულია საწარმოო ფუნქციის ამოხსნის ალგორითმი და მიღებულია ჰესებში ელექტროენერჯის საწარმოებელი საპროგნოზო მაჩვენებლები 2020-2022 წლებისთვის. მიღებული შედეგების ანალიზი საშუალებს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოების გაზრდილი მაჩვენებელი სათანადოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას.
6. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, საჭიროებს იაფ ენერგეტიკულ რესურსებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს იმპორტულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებით, ახალი, ენერჯიადამზოგავი და განახლებადი რესურსების ათვისებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით.
7. კვლევის პროცესმა გვიჩვენა, თუ რამდენად აუცილებელია ამოქმედდეს ეკონომიკურად და ეკოლოგიურად დასაბუთებული ახალი თბო და ჰიდროსიმძლავრეები. ჰიდროენერგეტიკული რესურსები იძლევა მცირე ჰესების აშენების დიდ პოტენციალს. მათი ფართომასშტაბიანი მშენებლობა უნდა დაიწყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამის მიღწევა შესაძლებელია თითქმის ყველა რაიონში და მათი მშენებლობაც შეიძლება ამ რეგიონში არსებული საწარმოო პოტენციალის, ფინანსური რესურსებისა და კერძო კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

8. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის უზრუნველსაყოფად, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ნავთობმოპოვების ზრდას და გაზომომარაგების გაუმჯობესებას. ნავთობმოპოვება ენერგეტიკის ერთ-ერთი ყველაზე კაპიტალტევადი დარგია და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ არსებული სახსრების რაციონალურად გამოყენებას, დარგში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. საჭიროა გაგრძელდეს სამუშაოები საქართველოში სამრეწველო მნიშვნელობის ბუნებრივი გაზის საბადოთა აღმოჩენისათვისაც.
9. არც თუ ისე შორეულ წარსულში საქართველო ყოველწლიურად 3 მლნ ტონა ნავთობს მოიპოვებდა, რომელიც შემდგომ მკვეთრად შემცირდა. ახლა საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 1-1,2 მილიონი ტონა ბენზინის იმპორტირება ხდება, რაც იწვევს ქვეყნიდან ერთი მილიარდამდე აშშ დოლარის გადინებას. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნაწილობრივ მაინც მოახდენს ნავთობპროდუქტების წარმოებას საკუთარი ნედლეულიდან, შემცირდება ქვეყნიდან უცხოეთში ვალუტის გადინება, რაც გამოიწვევს ბენზინზე ფასების შემცირებას, ეს კი დადებითად აისახება ეკონომიკის ყველა სექტორზე.
10. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაზის სახელმწიფო რეზერვების შექმნას. მიღებულია, რომ ქვეყანას ასეთი რეზერვი წლიური მოთხოვნილების დაახლოებით 20-30%-ის მოცულობით უნდა გააჩნდეს. გაზის შენახვის ყველაზე რენტაბელურ და პოპულარულ საშუალებას კი წარმოადგენს მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნა ნავთობისა და გაზის გამომუშავებულ საბადოებში. მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხი, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია და მნიშვნელოვანია მისი მშენებლობის პროცესის დაჩქარება.
11. შემოთავაზებულია, რომ ენერგეტიკული პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის საჭიროა პირველ ეტაპზე მოპოვებულ იქნეს ნახშირის არანაკლებ 600 ათასი ტონის ოდენობა მაინც. ნახშირის მრეწველობის გარკვეული დონით განვითარების საჭიროებას გარე მიწოდებებისაგან დამოუკიდებელი ენერგეტიკული ბაზის შექმნის აუცილებლობაც განაპირობებს.

12. სათბობი ბალანსის შერბილების საქმეში უფრო მეტი როლი უნდა შეასრულოს თერმული წყლების მოპოვების განვითარებამ, მკვეთრად უნდა ამაღლდეს მიწის სიღრმისეული სითბოს გამოყენების კოეფიციენტი. საქართველოში თერმული წყლების მოპოვების გაცილებით მეტი შესაძლებლობაცაა და საჭიროებაც. უკანასკნელ წლებში კი მისი მოპოვება მკვეთრად შემცირდა.
13. კვლევებით დადგენილია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებაში პრიორიტეტული როლი ეკუთვნის ადგილობრივ რესურსებს. კერძოდ, დიდი სიკეთე შეიძლება მივიღოთ ეკონომიკაში ენერჯის ადგილობრივი არატრადიციული სახეების (ქარი, მზე) გამოყენების გაფართოებით. საქართველოს კი ამის გამოყენების საუკეთესო პირობები აქვს. განისაზღვრა, რომ უახლოესი პერსპექტივისათვის საქართველოში მზის ენერჯის გამოყენებით შესაძლებელი იქნება წლიურად დაიზოგოს დაახლოებით 40-50 ათასი ტონა პირობითი სათბობი.
14. განისაზღვრა ენერგოეფექტიანობის ძირითადი ღონისძიებები, რომლის მიხედვითაც იგი ზოგავს მოხმარებლის ფინანსურ რესურსებს, ამცირებს რა მოხმარებული ენერჯის რაოდენობას და შესაბამისად, ამ ენერჯის ჯამურ ღირებულებას. ამავდროულად, ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების განხორციელება და მიღებული დანაზოგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.
15. ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოდაზოგვის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა. საექსპერტო გათვლებით, ენერგოეფექტიანობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით ერთი მეოთხედის ტოლია. ამდენად, იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად.
16. დისერტაციაში ჩამოყალიბებულია ახალი კონცეფცია ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის განსაზღვრისათვის. კერძოდ, იგი გულისხმობს ბუნებრივ ენერგეტიკულ რესურსებთან ერთად ქვეყანაში არსებული ან/და გამოყენებული სხვა ენერგორესურსების (რეზერვების) ჩართვას.

ნაშრომის აპრობაცია.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკითხები და შედეგები მოხსენებების სახით გაშუქდა სამეცნიერო კონფერენციებზე და

პუბლიკაციების სახით გამოქვეყნდა რეცენზირებად ჟურნალებში: „ენერჯია“, „ეკონომიკა“, „ინტელექტი“ შემდეგი სამეცნიერო შრომების სახით:

1. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სისტემის განვითარებაში: მსოფლიო პრაქტიკა და გამოვდილება საქართველოსათვის. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №3 (53), თბ., 2015 წ. გვ. 104-108;
